# პროექტის ფაქტები

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

**საქართველოს კომერციული სამართლისა და პრაქტიკის გაუმჯობესება**




**განხორციელების ვადა:** 01.01.2019 - 30.04.2021

**EaP ქვეყნები:**
Georgia

**ევროკავშირის წვლილი:** € 1 300 000

**მთლიანი ბიუჯეტი:** € 1 570 000

**განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):**
Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ)

**სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:**
facebook.com/giz.law.ge/

**პროექტის აღწერა:**

ასოცირების შეთანხმების 2017-2020 წლების დღის წესრიგი ერთობლივად აწესებს პრიორიტეტებს, რომელიც ამ შეთანხმების და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ფარგლებში უნდა განხორციელდეს. სხვა სფეროებთან ერთად ეს პრიორიტეტები მოიცავს ბიზნესისა და მარეგულირებელი გარემოს გაუმჯობესებას. ეს გულისხმობს ბიზნესის საოპერაციო გარემოს გაუმჯობესებას, კაპიტალის ბაზრის ხელშემწყობი მექანიზმების შექმნას და დავების გადაჭრის ეფექტური მექანიზმების შემოღებას კომერციული დავებისა და კონტრაქტების აღსრულებისთვის. უკვე გადაიდგა ნაბიჯები (ევროპული კანონმდებლობის მიხედვით მომზადდა გაკოტრების შესახებ კანონი და აღსრულების კოდექსი), რეფორმები აღსრულებას საჭიროებს, ხოლო ახალი მარეგულირებელი ჩარჩოს განხორციელების მიზნით შესაბამისი უნარებისა და პრაქტიკული მექანიზმების ჩამოყალიბებაა საჭირო.
პროექტი საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან თანამშრომლობს და მის მთავარ მიმართულებას საქართველოში კომერიცული სამართლის განვითარება და პრაქტიკაში მისი დანერგვის გაუმჯობესება წარმოადგენს.
პროექტი ღონსიძიებებს ოთხი ძირითადი მიმართულებით ახორციელებს:
- კომერციული სამართალწარმოების ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა
- სამეწარმეო სამართლისა და პრაქტიკის რეფორმის ხელშეწყობა
- გადახდისუუნარობის საქმისწარმოების გაუმჯობესების ხელშეწყობა
- სასამართლოს გადაწყვეტილებათა ეფექტიანი აღსრულების ხელშეწყობა

**მოსალოდნელი შედეგები:**

- ეფექტიანი სასამართლო პროცედურები
- მეწარმეთა შესახებ ახალი კანონის დანერგვა
- გაძლიერებული და რეაბილიტაციაზე ორიენტირებული გადახდისუუნარობის პროცედურები
- სასამართლოს გადაწყვეტილებების უფრო ეფექტიანი აღსრულება